

**THE STORY OF THE CHOPPED HEADS:  
MAHMOUD DOWLATABADI'S "THE COLONEL"**

**მოკვეთილი თავების ისტორია:  
მაჰმუდ დოულათაბადის „პოლკოვნიკის მიმწუხრი“**

**Mzia Burjanadze**

Doctor of Philology; Associate Professor of  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University;  
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia  
+995593464565 mzia.burjanadze@tsu.ge  
<https://orcid.org/0009-0001-1305-8653>

**Abstract.** The novel “The Colonel” by a contemporary Iranian author Mahmoud Dowlatabadi was published in the German language in Switzerland in 2009. Since then, it has been translated into several other European languages. In 2016, Tea Shurghaia published the Georgian translation of this novel.

The book was awarded Ian Mikhalski prize, Knight of the Order of Arts and Letters (France) and was nominated for the Asian Booker Prize.

However, it has not been published officially in Iran, because the authorities of the Islamic Republic of Iran consider the book “the most counter-revolutionary novel“.

The paper is an attempt to find out the reasons for the above-mentioned ambivalent attitude to Mahmoud Dowlatabadi’s novel inside and outside Iran. Does the novel describe the events of the Islamic revolution, or is it a more global perspective?

The research has proved that the real situation described in the novel refers to the Islamic Revolution of Iran in 1979. The main characters – former colonel of the Shah’s army and his children - fall victim to the severe and merciless laws of revolution. Thus, it is natural for the Islamic government to term the novel as “counter-revolutionary“.

Yet, at the same time, the metaphorical layer of the novel, the inclusion of symbolic characters and events in the storyline, allow the perception of the novel on the universal plane.

The author draws the portraits of numerous national heroes. They perform a symbolic function and express the writer’s idea: the most outstanding offsprings of the country have never been appreciated. This is not a solely Iranian or solely modern problem.

Another aim of the paper is to analyze the Georgian version of the novel based on the principles of translation theory. With this aim, certain details of the Georgian translation are compared to other translations.

The research has yielded the following conclusion: in certain cases, the interpretation of the Georgian translator is more appropriate than the interpretations provided by the translators into other languages.

**Key words:** modern Persian prose, counter-revolutionary novel, the Islamic Revolution, title symbol.

მზია ბურჯანაძე

ფილოლოგიის დოქტორი,  
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
 სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
 ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,  
 +99593464565 mzia.burjanadze@tsu.ge  
<https://orcid.org/0009-0001-1305-8653>

**აბსტრაქტი.** თანამედროვე ირანელი ავტორის მაჰმუდ დოულათაბადის რომანი „პოლკოვნიკის მიმწუხრი“, რომლის გერმანული თარგმანი 2009 წელს გამოიცა შვეიცარიაში, მომდევნო წლებში რამდენიმე ევროპულ ენაზე ითარგმნა. 2016 წელს გამოვიდა თეა შურდაიას მიერ შესრულებული ქართული თარგმანიც.

ამ რომანისთვის დოულათაბადის იან მიხალსკის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა; მიენიჭა საფრანგეთის კულტურისა და ხელოვნების ორდენის კავალერის წოდება; წარდგენილი იყო აზიური ბუკერის პრემიაზეც.

ირანში კი, ოფიციალურად, სპარსულ ენაზე, რომანი დღემდე არ გამოცემულა, რადგან ირანის ისლამური რესპუბლიკის მესვეურები მას „ყველაზე კონტრევიოლუციურ რომანს“ უწოდებენ.

სტატიის მიზანია, გაარკვიოს, რით გამოიწვია მაჰმუდ დოულათაბადის რომანმა ასეთი ორმაგი დამოკიდებულება ქვეყნის შიგნით და გარეთ: მოგვითხრობს კონკრეტულად ისლამური რევოლუციის მოვლენებზე თუ მისი გადააზრება უფრო გლობალურ ჭრილშია შესაძლებელი.

კვლევამ აჩვენა: რომანში აღწერილი რეალური სიტუაცია ირანის 1979 წლის ისლამურ რევოლუციას ეხება; მთავარი პერსონაჟები - შაჰის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი - და მისი შვილები რიგრიგობით ეწირებიან რევოლუციის სასტიკსა და უწყალო კანონებს. ამდენად, ცხადი ხდება, რატომ უწოდებს ისლამური მთავრობა რომანს „კონტრევიოლუციურს“.

თუმცა, ამავედროულად, რომანის მეტაფორული შრე, სიუჟეტურ ქარგაში სიმბოლური პერსონაჟებისა და მოვლენების ჩართვის გზით, რომანის უნივერსალურ ჭრილში გააზრების საფუძველს იძლევა.

რომანში ბევრი ეროვნული გმირის - ისტორიული პირის სახე ჩანს, რომლებიც სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ და მწერლის ჩანაფიქრს გამოხატავენ: ქვეყნის საუკეთესო შვილები არასდროს ყოფილად დაფასებულნი. და ეს არ გახლავთ მხოლოდ ირანის ან მხოლოდ თანამედროვეობის სატკივარი.

სტატიის ამოცანაა, ასევე, გააანალიზოს რომანის ქართული ვერსია მთარგმნელობითი პრინციპების თეორიის კუთხით. ამ მიზნით ქართული თარგმანის ზოგიერთი დეტალი შედარებულია სხვა თარგმანებთან.

კვლევის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელი რომანის სხვა ენებზე მთარგმნელებზე უფრო სწორ ინტერპრეტაციას აწვდის ქართველ მკითხველს.

**საკვანძო სიტყვები:** თანამედროვე სპარსული პროზა, კონტრევიოლუციური რომანი, ისლამური რევოლუცია, სათაურის სიმბოლიკა.

„მე ჩემი შვილები ამ მიწა-წყალს ვაჩუქე, თუმცა ისინი  
ბინძურმა შეთქმულებამ და მუხანათურმა გეგმამ შეიწირა“  
(მაჰმუდ დოულათაბადი, „პოლოვნიკის მიმწუხრი“)

**შესავალი.** „ირანელი მწერლის მაჰმუდ დოულათაბადის რომანი „პოლოვნიკის მიმწუხრი“ არაერთ ენაზეა თარგმნილი, თუმცა მწერლის სამშობლოში დღემდე არ გამოქვეყნებულა. ირანის ხელისუფლება მას ირანში დაწერილ ყველაზე კოტრევოლუციურ რომანად მიიჩნევს. რომანის ინგლისური თარგმანი (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომანი ინგლისური თარგმანის საშუალებით) აზიური ბუკერის პრემიაზე წარადგინეს, თუმცა საბოლოოდ ნომინანტთა მოკლე სიაშიც ვერ მოხვდა. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რომანი ნამდვილად იმსახურებდა ამ ჯილდოს. თავად დოულათაბადი კი ამბობს: „მე პირადად ვაცხადებ, რომ მე უკეთესი მწერალი ვარ, ვიდრე ნობელის ლაურეატი ბევრი ავტორი“ და შენიშნავს, რომ მისი ღირსება და უფლებები ლიტერატურული პრემიის არმინიჭებით შეილახა“ (Khaleji, 2012).

ეს არის ამონარიდი ჟურნალისტის, კულტურის მკვლევრის, მოსტაფა ხალეჯის სტატიიდან, რომელიც წიგნის დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე სპარსული ლიტერატურის არაპოპულარობის მიზეზებს განიხილავს. დაინტერესებული პირებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ დღესდღეობით თანამედროვე სპარსული ლიტერატურა წიგნის საერთაშორისო ბაზარზე ბევრად უფრო დაუფასებელია, ვიდრე ობიექტურ გარემოებებში შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამ ვითარების მიზეზების შესწავლა უეჭველად აქტუალური და საჭირო საქმეა, თუმცა წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს კონკრეტული თემა და კონკრეტული მწერალი, კერძოდ, მაჰმუდ დოულათაბადის რომანი „პოლოვნიკის მიმწუხრი“ წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ თავად მაჰმუდ დოულათაბადი საკუთარ დამსახურებას ლიტერატურის წინაშე უეჭველად მიიჩნევს და პირდაპირ აცხადებს, რომ ბუკერის საკონკურსო სიაში არათუ საუკეთესოთა შორის მოხვედრას, არამედ გამარჯვებასაც კი ელოდა. არადა, ასე არ მოხდა.

რა არის ეს, განდიდების აკვიატებული მანია მწერლის მხრიდან, რაც არცთუ იშვიათია შემოქმედთა წრეებში, თუ პროფესიონალი ავტორისგან დამსახურებული ჯილდოს მოლოდინი?

ვინ არის მაჰმუდ დოულათაბადი, რომელიც არცთუ მოკრძალებულად იჩემებს საუკეთესოთა შორის საუკეთესოობას? რას წარმოადგენს მისი გახმაურებული რომანი „პოლოვნიკის მიმწუხრი“, რომელიც სპარსულად დღემდე არ გამოქვეყნებულა, მაგრამ რამდენიმე ენაზეა თარგმნილი?

**მეთოდები.** დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად სტატიაში გამოყენებულია კომპლექსური კვლევის მეთოდი, რომელიც კვლევის რამდენიმე სახეს აერთიანებს:

1. დაკვირვების მეთოდი: დაკვირვება წიგნის შიდა თუ გარე ბაზრებზე რომანის პოპულარობის მდგომარეობაზე.

2. ანალიზის მეთოდი: რომანი გაანალიზებულია, როგორც ისლამური რევოლუციის პოლიტიკურ-სოციალური შინაარსის გამომხატველი საგულისხმო მოვლენა. ასევე, ამ კონკრეტული მოვლენის საყოველთაო მნიშვნელობის ფენომენად გადააზრება მწერლის მიერ და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული მხატვრულ-ესთეტიკური საშუალებები.

3. კომპარატივისტული მეთოდი: სტატიის ბოლოს განხილულია რომანის ქართული თარგმანი. ერთმანეთს არის შედარებული ქართველი მთარგმნელისა და

ევროპელი მთარგმნელების მიმართება სათარგმნი ტექსტისადმი და ამ შედარების საფუძველზე გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

**მსჯელობა და შედეგები.** მაჰმუდ დოულათაბადი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გამორჩეული ირანელი პროზაიკოსია (1940). განსაკუთრებით ცნობილია მისი ათტომიანი „ქელიდარი“, ასევე, რომანები „სოლუჩი დაგვაკლდა“, „ხანდაზმულთა ჩავლილი ცხოვრება“, „პოლკოვნიკის მიმწუხრი“.

დოულათაბადის ირანში მინიჭებული აქვს იალდას ლიტერატურული პრემია (2002).

2012 წელს იგი იან მიხალსკის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა, ხოლო 2013 წელს საფრანგეთის კულტურისა და ხელოვნების ორდენის კავალერის წოდება მიიღო.

2022 წელს რომანის მიხედვით ავსტრიაში საოპერო სპექტაკლი დაიდგა. 2018 წელს სიამაქ ფალაჰიმ დაწერა ოპერა რომანის ბაზაზე, რომლის ლიბრეტო ანჯელიკა მესნერს ეკთვნის.

რომანი „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ ჯერჯერობით ორიგინალის ენაზე არ გამოქვეყნებულა. 2009 წელს შვეიცარიაში გამოვიდა მისი გერმანული თარგმანი. ამის შემდეგ წიგნი რამდენიმე ენაზე ითარგმნა.

2016 წელს თბილისში *დიოგენემ* გამოსცა წიგნის ქართული თარგმანი, შესრულებული თეა შურღაიას მიერ.

სანამ სამწერლო გზას დაადგებოდა, დოულათაბადიმ მრავალი პროფესია აითვისა და გამოიარა. იყო დალაქი, მეწაღე, სტატისტი-მსახიობი. როდესაც ჰკითხეს, ამდენი პროფესია, ალბათ, გამოცდილების მისაღებად გამოიცვალეთო? გულწრფელად თქვა, სრულიადაც არა, ცხოვრების სახსრის საშოვნელად. თუმცა, ცხადია, ამდენმა გარჯამ და მუდმივად ხალხში ტრიალმა ცხოვრებისეული გამოცდილებაც შესძინა და ადამიანების პრობლემების გათავისებაც ასწავლა.

აქტუალური თემატიკისა და სხვადასხვა სამწერლო ტექნიკის პროფესიონალური ფლობის წყალობით დოულათაბადი ქვეყნის შიგნით და გარეთ ირანის ლიტერატურის ერთგვარ სახედაც იქცა. მას მუდამ დიდ პატივს სცემს ხალხი, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ინტელექტუალების შემთხვევაში, ხელისუფლება მარად უკმაყოფილოა მისით. შაჰის რეჟიმის დროს დოულათაბადიმ ორი წელი ციხეში გაატარა. მოგვიანებით კი, როდესაც მან, დიდი წონისა და ავტორიტეტის პიროვნებამ, ინება და ისლამური რევოლუციის საწინააღმდეგო რომანი დაწერა, ისლამური მთავრობა საკმაოდ დაიბნა. წესით და რიგით, შაჰის რეჟიმის მოწინააღმდეგე მწერალი რევოლუციის რაინდად უნდა ქცეულიყო. არადა, ასე არ მოხდა. ხელისუფლებისთვის ამ „კონტრრევოლუციური“ რომანის გამოცემა მიუღებელი იყო, მაგრამ მისი ავტორის ხელყოფა - შეუძლებელი. იძულებულნი გახდნენ, სირაქლემის პოზას დასჯერებოდნენ. არც დოულათაბადი წასულა წინააღმდეგი, რადგან ემიგრაციაში წასვლა არასდროს სდომებია. თუმცა დევნისა და ციხეების საკმაოდ მწარე გამოცდილება ჰქონდა, არც დათმობაზე წასვლა დაუპირებია და რომანში ხელისუფალთა საამებელი კორექტივები არ შეუტანია. ამ საკითხის თაობაზე სრულიად არაორაზროვნად საუბრობს ისლამური დამოძღვრისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ბაჰმან დორი, რომელსაც ავტორის მიერ „ჩასწორებული“ რომანის დაბეჭდვის ნებართვა უნდა გაეცა: „ტექსტის გასწორება სიტყვებისა და ფრაზების შეცვლა არ გახლავთ“ (The Novel..., 2012). ამდენად, როგორც ვხედავთ, ოფიციალურად, რომანი სპარსულად არ არსებობს, თუმცა იგი თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ებრაულ, ქართულ ენებზე. ეს არის ჩვეულებრივი ირანული პარადოქსებიდან ერთ-ერთი პარადოქსი - ითარგმნება არარსებული წიგნი.

ოფიციალური და უკვე დამკვიდრებული ვერსიით, დოულათაბადი დიდხანს ელოდა ნებართვას „დამოძღვრის სამინისტროსგან“. ლოდინით დაღლილმა, თავისი

გამოუცემელი რომანის ეგზემპლარი გერმანიაში მცხოვრებ მთარგმნელს, ბაჰმან ნირუმანდს, გადასცა. ნირუმანდმა რომანი გერმანულად თარგმნა და ეს თარგმანი 2009 წელს შვეიცარიულ გამომცემლობაში „Union“ დაიბეჭდა.

ამის თაობაზე თავად დოულათაბადი წერდა:

„სანამ შვეიცარიაში რომანის გერმანულად გამოცემის ნებართვას მივცემდი, წიგნი გამომცემლობა „ჩემეს“ სახელით ისლამური დამოძღვრის სამინისტროს წარვუდგინე. იმედი მქონდა, ევროპაში გამოქვეყნებამდე, ან მის პარალელურად მაინც, სპარსულად დაიბეჭდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. წელიწადი თუ წელიწად-ნახევარი მათგან პასუხი არ მქონდა. ბოლოს და ბოლოს, ათასი შესწორებით მომიბრუნეს. ამ ჩასწორებებზე ვიმუშავე - საკუთარი სურვილისა და რომანის სტრუქტურის საზიანოდ, რათა ჩემი კეთილი ნება გამომეხატა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. წიგნი ათასი ახალი შენიშვნით მომიბრუნეს“ („The Colonel“ ..., 2014).

რომანის სპარსული ვერსია გერმანულ გამომცემლობაში „Gardun“<sup>1</sup> დაიბეჭდა 2013 წელს. დღესდღეობით ისლამური რესპუბლიკის მთავრობა იუწყება, რომ ირანში არაოფიციალურად გავრცელებული სპარსული ვერსია არ არის სანდო, რამეთუ იგი შესრულებულია რომანის გერმანული თარგმანიდან და ორიგინალთან ნაკლებად აქვს კავშირი. დანამდვილებით ძნელია მტკიცება, რამდენად შეიძლება ენდოს მკითხველი ისლამური მთავრობის ინფორმაციას. ფაქტი კი ისაა, რომ თავად ავტორიც (ნებაყოფლობით თუ წნეხის ქვეშ) აცხადებს, რომ მკითხველებს შორის გავრცელებული სპარსული ვერსია გაყალბებულია და ითხოვს, არ ენდონ მას.

ერთი რამის თქმა კი უპირობოდ შეიძლება: მაჰმუდ დოულათაბადის რომანის „პოლკოვნიკის მიმწუხრის“ სპარსული ორიგინალი ოფიციალურად მანამ ვერ იხილავს დღის სინათლეს, სანამ ისლამური რესპუბლიკა იარსებებს. ცენზურა არასდროს გასცემს ნებართვას წიგნის დაბეჭდვის თაობაზე, რამდენი შესწორებაც არ უნდა შეიტანოს ტექსტში ავტორმა.

მაინც, რას წარმოადგენს ეს გახმაურებული და არცთუ დალხენილი ბედის მქონე რომანი?!

რა თქმა უნდა, წიგნი ირანის 1979 წლის ისლამურ რევოლუციაზე გახლავთ. რომანის მთავარი გმირი - შაჰის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი - და მისი შვილები რევოლუციის „კანონებს“ შეეწირნენ. ყველა შვილი თავის არჩეულ გზას მიჰყვებოდა და ყველას სწამდა, რომ სწორედ მისი გზა იყო მართალი. თუმცა ერთადერთი სიმართლე რევოლუციური უსამართლობა აღმოჩნდა, რომლის სასტიკმა და უწყალო კანონებმა რიგრიგობით შთანთქა ყოველი მათგანი.

საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთი ფაბულა აქვს კიდევ ერთ ირანულ წიგნს: შირინ ებადის „ოქროს გალიას“.<sup>2</sup> ამ წიგნშიც გუშინ უახლოესი ადამიანები დღეს მოსისხლე მტრებად მოჰკიდებიან ერთმანეთს. თუმცა ეს ამბები სამართალდამცველ შირინ ებადის უფრო მშრალად, პოლიტიკურ პრიზმაში და ადამიანის უფლებების შეზღუდვისა თუ ანულირების რაკურსში აქვს აღწერილი. მაჰმუდ დოულათაბადის რომანი კი, როგორც პროფესიონალი მწერლის შემოქმედების ნაყოფი, კონკრეტული რევოლუციის,

<sup>1</sup> გამომცემლობა „Gardun“ 1987 წელს თეირანში დააარსა აწ გარდაცვლილმა მწერალმა აბას მარუფიმ (1958-2022). 1995 წელს გამომცემლობა დახურეს, გამომცემელი კი ციხეში მოხვდა. იქიდან გამოსვლის შემდეგ აბას მარუფი ემიგრაციაში წავიდა და ბერლინში დასახლდა. 2004 წელს იქვე გააგრძელა საგამომცემლო საქმიანობა, დააფუძნა გამომცემლობა და სტამბა იმავე სახელწოდებით.

<sup>2</sup> შირინ ებადი პირველი ირანელი ნობელიანტია, რომელმაც ეს მაღალი ჯილდო მშვიდობის დარგში მიიღო (2003). პროფესიით სამართალდამცველი, იგი ირანში ქალებისა და ბავშვების უფლებებს იცავდა. მოგვიანებით, პოლიტიკური დევნის გამო, იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. ამჟამად ინგლისში ცხოვრობს.

კონკრეტული დროისა და სივრცის მასშტაბებს სცილდება და პრობლემის მხატვრულ-ესთეტიკური გადაზრების სურათს გლობალურ ჭრილში გვთავაზობს.

წიგნში მწერალი სიცოცხლის არსისა და მისდამი ადამიანის დამოკიდებულების უმნიშვნელოვანეს საკითხს სვამს, რომელიც რომანში განვითარებული კონკრეტული მოვლენების ტრაგიზმს ამძაფრებს:

„ერთადერთი, რაც არ ნდომებია - რომ შვილებს სიცოცხლემისჯილებს ეცხოვრათ; უნდა, თითოეულისთვის სიცოცხლე არჩევანი ყოფილიყო“ (დოულათაბადი, 2016: 77).

მის შვილებს კი რევოლუციამ წაართვა ეს არჩევანი.

„პოლკოვნიკის მიმწუხრი“ სავსეა რევოლუციით შობილი და მისი იდეალებით ნაწრთობი უსასტიკესი სურათებითა და სიტუაციებით. მოვლენების ქაოტური და აუხსნელი ფრაგმენტები რიტორიკული კითხვების წყებად იქცევა, რომელთა პასუხები არც პოლკოვნიკის ლოგიკურ გონებას გააჩნია და არც მისი ვაჟის - ამირის - დარღვეულ ცნობიერებას.

რატომ აქციეს პოლკოვნიკის შვილებმა ერთმანეთს ზურგი, რატომ მიქრიან სხვადასხვა მხარეს, რას ესწრაფვიან, რა უნდათ, რატომ ეჯიბრებიან ერთმანეთს, განა მათ ერთი გვარი და ერთი სამშობლო არა აქვთ?

რატომ დასაჯეს სიკვდილით პოლკოვნიკის თოთხმეტი წლის გოგონა, განა საამისოდ ძალიან პატარა არ იყო?

რატომ არ უჯერებენ პოლკოვნიკს, რომ ომში დაღუპული მისი ვაჟის ცხედარს სხვისი მოჭრილი თავი აქვს მიმაგრებული? ან რატომ მოექცნენ ასე სასტიკად გმირულად დაღუპული ვაჟკაცების ცხედრებს?

რატომ მიჰყვება ჯარისკაცებს თავდახრილი, „მკერდში საფლავის ქვით“ დამბიმებული პოლკოვნიკი თავისი პატარა გოგონას დასამარხად, რომელსაც საკუთარი ხელით მიტანილი წერაქვითა და ნიჩბით თვითონვე უნდა გაუთხაროს საფლავი, წარწერა კი არ გაუკეთოს?!

რატომ არ ეყრება პოლკოვნიკის უფროსი ქალიშვილი ჯალათ ქმარს, რომელიც ყოველ დილას „რევოლუციის მტრების“ სისხლში დასვრილი ხელებით ბრუნდება სახლში?

ამ კითხვებს პასუხები ისევე არ აქვს, როგორც უზნეობას არ აქვს გამართლება. მაგრამ რევოლუცია გამართლებას არ ეძიებს. ის ფლობს ძალას და ამკვიდრებს შიშს, რომელიც ფიზიკური და მორალური წნეხის მტკიცე საფუძვლად იქცევა.

„ადამიანი განუწყვეტლივ გრძნობს, რომ რაღაცის ეშინია, არ იცის, კონკრეტულად რისა. გეშინია, რომ გითვალთვალევენ, გრძნობ, რომ გითვალთვალევენ. თუკი არ გითვალთვალევენ, მაშ, რატომ გრძნობ თვალთვალს და საიდან გაჩნდა შენში ეს გრძნობა, რომელიც ღონეს გაცლის და ხანს გმატებს?“ (დოულათაბადი, 2016: 49).

და ეს გაუცნობიერებელი შიში, რომელიც საყოველთაო მექანიზმად იქცევა, ისე ითრევს და აცამტვერებს სულს, რომ ადამიანი ვერ გრძნობს, როგორ და როდის იქცევა სულმდაბალ, გამყიდველ და ფლიდ არსებად.

„ვერაფრით იჯერებდა, რომ ეს სიტყვები მისი ხმით - თვითონ პოლკოვნიკის პირით ითქვა „გოგონას წინააღმდეგ, რომლისთვისაც მამაც ვიყავი და დედაც“, რომელიც ველარასოდეს გახდება თოთხმეტის. ნუთუ ეს მისი ხმა იყო, ნუთუ საკუთარი პირით ამბობდა: „ასეთი შვილი სიკვდილს იმსახურებდა და ჩვენი ოჯახისგან უნდა მოკვეთილიყო!“ რომელი ოჯახის? ნუთუ თვითონ პოლკოვნიკი ღრიალებდა: „ჩემი ქალიშვილი მოსაკლავი იყო!“ ან: „ჩემი ქალიშვილი სატანების ხელში ჩავარდა და გაირყვნა... ჩემი ქალიშვილი გარყვნილია და...“ „თუკი მართლა მე ვიყავი, ეს რამ მათქმევინა?“ (დოულათაბადი, 2016: 200).

შიშმა ათქმევინა, მოკლულ შვილებს უღალატა. და პოლკოვნიკმა მდუმარე სიკვდილი მიუსაჯა თავს.

„არავის გაუკვირდეს, თუკი სიკვდილის წინ ენაზე კლიტის დადება გადავწყვიტე... ასე იმ სიტყვების გამო ვიძიებ შურს, რომელიც სასაფლაოს მიკროფონებიდან ათქმევინეს ჩემს ენას და ჩემი ყურით გავიგონე“ (დოულათაბადი, 2016: 207).

„პოლკოვნიკის მიმწუხრში“ განვითარებული ამბები ნებისმიერი რევოლუციური სიტუაციის ლამის ბანალური სურათია. ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი რევოლუცია ასევე დაუნანებლად შთანთქავს ადამიანურ ურთიერთობებს და სულიერ ღირებულებებს.

დოულათაბადის რომანი მხოლოდ და მხოლოდ ირანის ისლამური რევოლუციის არსს არ გამოხატავს. კონკრეტული რევოლუციის მოვლენების ფონზე ავტორი ზოგადად რევოლუციისა და ომის - ადამიანური უგუნურების სასტიკი გამოხატულების - ანტიჰუმანურ ბუნებაზე მსჯელობს:

„რევოლუციაში... ყველა - ახალგაზრდების გარდა - თავისთვის ხერხს ეძიებს. ახალგაზრდებზე ვერ იტყვი, ხერხს ეძებნო. ყველა ახალგაზრდა რევოლუციაში საკუთარ სიმართლეს ეძიებს, საკუთარი არსებობის გამართლებას. ამასთან, ახალგაზრდისა და ახალგაზრდობისთვის რევოლუცია უმაღლესი მგზნებარებაა. მგზნებარების მწვერვალზე მყოფი ჭაბუკი იმ მტრედს ემსგავსება, მზისკენ რომ მიილტვის და მანამ იფრენს, სანამ არ დაიფერფლება - სწორედ ეს არის ახალგაზრდული სიმართლის მწვერვალი! აი, ასე... მოხდა, რომ რევოლუციამ ჩემი შვილები თან გაიყოლა. ახლა წარმოდგენაც არ მაქვს, თითოეული მათგანი აღმაფრენის რომელ წერტილში დაიწვა ან იწვის“ (დოულათაბადი, 2016: 16).

პოლკოვნიკის სამივე ვაჟი - შაჰის რეჟიმის მოწინააღმდეგე სამი ახალგაზრდა (ერთი - კომუნისტური ჯგუფის „თუდეს“ წევრი, მეორე - ხომეინის მომხრე და მესამე - პარტიზანული მოძრაობის მონაწილე) სხვადასხვა გზით ეძიებდა „სიმართლის მწვერვალს“. სასურველ მწვერვალს ვერ მიაღწიეს, რადგან არ არსებობს ასეთი მწვერვალი. რევოლუცია ისევე ჭამს თავის ერთგულ შვილებს, როგორც მოსისხლე მტერს. ჭამს სხვადასხვა დროს, ჭამს რიგრიგობით. ასეთი აღმოჩნდა პოლკოვნიკის შვილების გზაც. გუშინ გმირად შერაცხული, დღეს ქვეყნის მტრად მონათლული, სამივე მათგანი სათითაოდ შეეწირა „რევოლუციურ სამართალს“.

რომანის მთავარი გმირი - შაჰის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი - უდავოდ უმნიშვნელოვანესი და საინტერესო პერსონაჟია რომანში და სწორედ მისით და მასთან დაკავშირებული სიმბოლოების საშუალებით ამბობს მწერალი სათქმელს. მნიშვნელოვანია, რომ რომანში *კატრიოტიზმი* ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით განიხილება. ის გულისხმობს ეროვნულ, ზოგადად ადამიანურ, ფასეულობებს და არა რელიგიურ აღტყინებას, როგორც ეს ტერმინი ისლამურმა ფანატიკურმა სულისკვეთებამ აქცია. რომანში გამჭვირვალე პრიორიტეტად დგას ეროვნული იდეებისა და გმირების ერთგულება.

„მე ჩემი შვილები ამ მიწა-წყალს ვაჩუქე, თუმცა ისინი ბინძურმა შეთქმულებამ და მუხანათურმა გეგმამ შეიწირა“ (დოულათაბადი, 2016: 208).

რომანში, პირდაპირ თუ ირიბად, რეალობასა თუ წარმოსახვაში, ბევრი ეროვნული გმირი - ისტორიული პირი ჩნდება. ყოველი მათგანი სიმბოლურ სახეს წარმოადგენს და ავტორის იდეურ ჩანაფიქრს უსვამს ხაზს.

წიგნი ოთხპკარედული ლექსით მთავრდება, რომელსაც „მომკვდარი“ პოლკოვნიკის აჩრდილი ღიღინებს და ცხადია, ეს ლექსი არათუ შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, არამედ რომანის მთავარ სათქმელსაც უნდა გამოხატავდეს:

„თუ გზად შემოგხვდა თავი მოკვეთილი,  
ჩვენი მოედნისკენ რომ უჭირავს გეზი,  
ჰკითხე მას, ჰკითხე მას ამბავი ჩვენი,

დაე, მან გაგიმხილოს მწარე საიდუმლო“

(დოულათაბადი, 2016: 235)

დამთრგუნველი და პათეტიკურად ტრაგიკული იქნებოდა, თორემ დოულათაბადის რომანს მოკვეთილი თავების ისტორიაც შეიძლებოდა დარქმეოდა. დიდი მწერლის რომანს არასდროს შემთხვევითი დასაწყისი და დასასრული არ აქვს. ამ წიგნის ავტორი „პროგრესის გზაზე შემდგარი“ ირანის ცხოვრებაში არაერთი სახელოვანი თუ უსახელოდ წასული პატრიოტის მოკვდინებას ან მოკვეთილ თავს იხსენიებს ქარაგმულად. მოკვდინების გზა, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს. ვენების გადაჭრა, ჩამოხრჩობა, ჩაქოლვა, ყელის გამოჭრა - სულერთია, რა დაერქმევა, ამას ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს.<sup>3</sup>

რომანში მსხვილი შრიფტით გამოკვეთილი **პოლკოვნიკი** - ფაქტობრივად, მთავარი სიმბოლური სახე რომანში, წიგნის მთავარი პერსონაჟის - პოლკოვნიკის - იდეალი, რომლის ფოტოს ან აჩრდილს განუწყვეტლად ესაუბრება, ისტორიული პირია, პირველი მსოფლიო ომის მამაცი მეთაური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სახალხო გმირი. აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ მებრძოლი პოლკოვნიკი მოჰამად-თაყი ხან ფესიანი ბრძოლაში მოკლეს და მისი მოკვეთილი თავი თეირანში გაგზავნეს.

კიდევ ერთი ეროვნული გმირი, რევოლუციონერი მირზა ქუჩაქ-ხანი, რომელიც პოლკოვნიკის ერთ-ერთი ვაჟის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს, ამბოხებულ კომუნისტებს ებრძოდა. მასაც თავი მოკვეთეს და ქალაქ რაშთის ყაზარმის წინ საჯაროდ გამოკიდეს.

მოჰამად მოსადეყი, მეოცე საუკუნის ირანული ნაციონალისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ფიგურა და ირანის პრემიერ-მინისტრი, ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის ლიდერი, თუმცა არ მოუკლავთ, მაგრამ პოსტიდან გადააყენეს და შინაპატიმრობაში გარდაიცვალა.

რომანში ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლური სახე ირანის მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი მოღვაწე, რეფორმატორი პრემიერ-მინისტრი ამირ ქაბირია. ქაშანში გასახლებული ამირ ქაბირი აბანოში მოკლეს: ვენები გადაუჭრეს და გაგუდეს.

ამირ ქაბირის სიმბოლურ სახეს ავტორი აშკარად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: ამირი - პოლკოვნიკის გონარეული ვაჟი - ამ დიდი რეფორმატორის და ერისკაცის სკულპტურაზე მუშაობს. ეს სახე თითქოს რეფრენად მიჰყვება ამირის ნებაყოფლობით შინაპატიმრობას, მის ავადმყოფურ შინაგან მონოლოგებს, თვითგვემას და მამასთან საუბრებს. რომანის დასასრულს ამირ ქაბირის სკულპტურა იდუმალად იკარგება და ესეც მინიშნება უნდა იყოს იმაზე, რომ დღეს მათ მამულს კიდევ ერთხელ მოსჭრეს თავი.

რიტორიკულ კითხვად დგას რომანში დიდი **პოლკოვნიკისთვის** - ქოლონელისთვის - შაჰის პრემიერ-მინისტრისგან დასმული შეკითხვა:

„ერთი მოჭრილი თავი განა რამდენჯერ შეიძლება მოიჭრას?“ (დოულათაბადი, 2016: D224).

ვფიქრობ, ცხადად ჩანს, რომ ამ ოთხსტრიქონიანი ლექსით მწერლის არცთუ საიდუმლო სათქმელია გაცხადებული: ქვეყნის საუკეთესო შვილები არასდროს ყოფილან

<sup>3</sup> სხვათა შორის, დოულათაბადიმ „პოლკოვნიკის მიმწუხრის“ შემდეგ კიდევ ერთი რომანი დაწერა, სათაურით „მოკვდინების გზები“, რომელიც, ასევე, ათი წლის განმავლობაში იდო ცენზურის თაროზე და 2018 წელს გამოიცა. რომანი ირან-ერაყის ომის მოვლენებს ეხება.



დაფასებულნი. და ეს არ გახლავთ მაინცდამაინც ირანის ან მაინცდამაინც თანამედროვეობის სატკივარი. ასე იყო მუდამ და ყველგან.

საკითხის სწორედ ამგვარი გააზრებით სცილდება დოულათაბადის რომანი ლოკალურ სივრცეებს და უფრო ფართო განზომილებაში გადადის, რომელსაც საყოველთაო და დაუსაბამო პრობლემა ჰქვია.

რომანი რომ მხოლოდ და მხოლოდ ირანის ისტორიის გარკვეული პერიოდის და, თუ გნებავთ, ირანის მთელი ისტორიული წარსულის მხატვრული გადააზრება არაა და მისი განხილვა ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის რანგში უფრო მისაღებია, მისტიკური, მითოსური პერსონაჟის ხეზრ ჯავიდის არსებობაც ადასტურებს.

ეს გახლავთ ყველაზე უფრო ნისლით მოსილი და ბუნდოვანი, თუმცა, ამავდროულად, რომანისთვის აუცილებელი პერსონაჟი, რომლის არსებობას და სხვადასხვა გამოვლინებას ვერც პოლკოვნიკის ლოგიკური მსჯელობით ავხსნით და ვერც მისი გონიერებული ვაჟის - ამირის - ხილვებით. ამ პერსონაჟის, როგორც მითოსური სახის, შემოყვანა რომანში დოულათაბადის მიზანმიმართული სამწერლო ხერხია, რომლითაც გვახსენებს, რომ ყველაფერი, რაც ახლა და აქ ხდება, „არ ახალია, ძველია“. ყოფილა ადრეც: სხვაგან და სხვა დროს. და, სამწუხაროდ, იქნება მერეც...

ვინ არის ხეზრ ჯავიდი? ჯავიდი მარადიულს, უკვდავს ნიშნავს, მუსლიმთა წარმოდგენით, ხეზრი, უკვდავების წყლის დაღვეით, მარადისობას ეზიარა. მარადი ხეზრი მეგზურობას უწევს ან მომღვრავს მოგზაურებს. გადმოცემებში მის ბოროტ საწყისზე არაფერია თქმული, თუმცა ყურანში, სადაც კომენტატორები მეგზურის სახეში სწორედ ხეზრს ხედავენ, იგი ხშირად სჩადის ავ საქციელს, რომელსაც მომავალში კეთილის მოლოდინით ხსნის.

დოულათაბადის ხეზრი მარადიული ბოროტებაა, რომელიც არყოფნიდან სხვადასხვა სახით და სხვადასხვა დროს ამოყოფს ხოლმე თავს და ერთნაირად ერგება ნებისმიერ სისასტიკესა და რეჟიმს.

„ხერზ ჯავიდს - შეგნებულად ან ჩვევისა გამო - თავი მაინც ისე ეჭირა, ეტყობოდა, უწინდელი ძალაუფლების რწმენა და თავდაჯერება არ დაეკარგა. მისი გონება ერთთავად ჭოჭმანსა და ძიებაში იყო: რა გზა, ფორმა და მეთოდი აერჩია ახალ პირობებთან გასარიგებლად“. (დოულათაბადი, 2016: 102).

.....

„ხეზრი ხელჯოხსა და სათვალეს შესანიღბად ატარებდა. გამოძიების პროცესში (ამირს - მ.ბ.) ერთხელაც არ უნახავს ან ჯოხით, ან სათვალით, არც შლაპა ხურებია თავზე“ (Dowlatabadi, 2016: 141).

რომანში ხეზრ ჯავიდი ამირის არეულ გონებაში გამკრთალი სიურრეალისტური ეპიზოდის აღწერისას ჩნდება, რომელიც ფოსტის შენობაში ვითარდება და რომლის ახსნა ლოკალური რეალობის ფარგლებში შეუძლებელია:

„ერთ-ერთი მამაკაცი ხეზრ ჯავიდი აღმოჩნდა, რომელიც შეუმჩნევლად აკვირდებოდა. თითქოს ოდესღაც... ერთმანეთი ენახათ... ამ კაცის ფოტო ამირს თითქოს ათასჯერ ენახა ჟურნალ „დღის ქალის“ გარეკანზე... მეხსიერებაში ამოუტივტივდა პოზა, რომელიც ხანმოკლე, სახელდახელო დაკითხვისას მაგიდასთან მჯდომ ხეზრს ჰქონდა; გრძნობდა, რომ სამი თაობის წინაც ენახა იგი“ (დოულათაბადი, 2016: 76).

შიში და ცუდის მოლოდინი სდევს ხეზრის ნებისმიერ გამოჩენას. ამირი, პოლკოვნიკის უფროსი ვაჟი, რომელსაც სახლში ეწვია ხეზრი, წუხს, რომ სახლიდან გასულ მის ძმას, მოჰამად-თაყის, ფეხდაფეხ მიჰყვა ხეზრ ჯავიდი:

„რალა მაინცდამაინც მოჰამად-თაყის წასვლის შემდეგ?“ მოჰამად-თაყისა და ჯავიდის წასვლას შორის ერთი კაცი მაინც რომ გასულიყო მათი სახლიდან, იქნებ ამირი ცრურწმენას არ აჰყოლოდა...“ (დოულათაბადი, 2016: 178).

ამირის ცრურწმენა მხოლოდ ცრურწმენას არ ჰგავს და მკითხველიც წინასწარვე გრძნობს, რომ მოჰამად-თაყი აღარ დაბრუნდება.

ხეზრის სტუმრობა სდევს პოლკოვნიკის უმცროსი გოგონას სიკვდილით დასჯასაც.

ამირმა წინასწარვე იცის, რომ ფარვანე განწირულია, მაგრამ არც ცდილობს რაიმეს შეცვლას: ხეზრ ჯავიდის არსებობა წინასწარგანსაზღვრულობის ტრაგიკულ გარდაუვალობას მოასწავებს: „თითქოს ხეზრ ჯავიდს მოუნდა, რომ ამირი დამუნჯებულიყო და ამირიც დამუნჯდა... არ შეეძლო, ძალა არ შესწევდა კიბეზე ასასვლელად და დისთვის იმის ასახსნელად, რომ დღეს, დღეს მაინც შინ დარჩენილიყო... ჭიშკრის ჭრიალი ფარვანეს შინიდან გასვლას ნიშნავდა. ამირი საწოლის კიდე დაეყრდნო. წამოდგა... და ხეზრს ეზოში გაჰყვა. შეღებული კარი ბოლომდე გაუღო. ხეზრი გავიდა... თავში უტრიალებდა და ზარივით რეკდა, ფარვანე შინ აღარ დაბრუნდებაო. არც დაბრუნებულა“ (დოულათაბადი, 2016: 69-70).

უკვდავი ხეზრის - მარადიული ბოროტების სიმბოლოს - სახე მიუყვება რომანის რეალურ ქარგას და წარმოსახვით-ილუზორულ სურათებს და ამ პერსონაჟის ორგანული არსებობა ყველა ადგილას და ყველა დროში ექვგარეშე ადასტურებს დოულათაბადის რომანის ჩანაფიქრს: რომ სისასტიკეს და ბოროტებას არც სამშობლო გააჩნია და არც დრო და სივრცე.

ამ აზრის დასტურად წიგნის რამდენიმე ეპიზოდს მოვიტან, რომელიც პოლკოვნიკის ვაჟის დარღვეულ ცნობიერებაში მიმდინარეობს.

ერთი ეპიზოდი რეალურად არსებულ ფოსტის შენობაში ვითარდება, თუმცა პერსონაჟები და სიტუაცია სრულიად სიურრეალისტურსა და ილუზიურ სურათებს ქმნის.

რომანის აღრეული სტილი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის რეალისტური და მოდერნისტული წერის მანერა და პოსტმოდერნისტული ხედვა, იტანს ყველა იმ წარმოსახვითსა და ჰიპერბოლიზებულ ელემენტს, რომელსაც თავისი ფრაგმენტული და არათანმიმდევრული თხრობისთვის იყენებს ავტორი. თუკი ამას კონკრეტული ეპიზოდის მთხრობლის - პოლკოვნიკის უფროსი ვაჟის - ამირის - წამებისგან და ფსიქოლოგიური წნეხისგან დარღვეულ ცნობიერებას დავუმატებთ, ერთი შეხედვით ხელოვნურად შემოტანილი პასაჟი - ფანტასტიკური და რეალობას დაშორებული სანახაობა - მკითხველისთვის მიუღებლად აღარ აღიქმება:

„რა შენობა იყო! ინტერიერი - სხვადასხვა ეპოქის ხუროთმოძღვრული ელემენტების ნაზავი - არქიტექტურულ ფორმებსა და კონსტრუქციებზე ასახული უცხოური და ადგილობრივი კულტურების სულისკვეთებათა ურთიერთგავლენა. ჭერი ბერძულ-რომაული და ირანული ფორმის განიერ, მრგვალ, ნატიფად გათლილ სვეტებს ეყრდნობოდა, დახვეწილობასა და დიდებულებასთან ერთად თავის თავში რაიხსტაგის არქიტექტურის სიმკაცრესა და მრისხანებასაც იტევდა და იმ ეკლესიების სიდიადესა და გრანდიოზულობასაც, ამირს ოდესღაც ისპაჰანსა და რეზაიეში რომ ენახა ან ეგონა, რომ ნანახი ჰქონდა. ასევე, მის მეხსიერებაში შემორჩენილ შირაზის ვაქილის მეჩეთის მასშტაბებს აგონებდა.

ცუდად განათებული დარბაზის ბოლოს თითქოს საკურთხეველი იდგა, რომელიც არც ბუდისტური და არც ზოროასტრული ტაძრების შესახებ მის წარმოდგენას არ ემთხვეოდა. ებრაული სინაგოგა ფილმებშიც კი არ ენახა, რომ შეედარებინა. იქაურობა სულ სხვანაირი იყო - მაღალი, აზიდული ჭერით, მკვიდრი და მტკიცე სვეტებით. დარბაზს არც ეკლესიის შიდა მორთულობა გააჩნდა, რადგან ამირს ეკლესია მუქი არღვანისფერი ახსოვდა, მოყავისფრო შუქზე შიშველი მერხების რიგებით და არა ასეთი ფართო, ნათელი და ცოცხალი. ერთი სიტყვით, ეს შენობა არც ერთი კონკრეტული მახასიათებლით არ ჰგავდა მისთვის ცნობილ რომელიმე შენობას, და მაინც, რაღაც

მსგავსებას ყველა იმ ნაგებობასთან ამჟღავნებდა, რომელიც იქამდე ენახა, გაეგონა ან წარმოედგინა“ (დოულათაბადი, 2016: 91-92).

ამ გაუგებარ გარემოში, სადაც ერთმანეთს შერწყმია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და რელიგიის ელემენტები, საზოგადოებაც ასეთივე ჭრელია და ცხადია, მათ გამოჩენას რომანში სიმბოლური დატვირთვა აქვს:

„ოთხნი იყვნენ, სამს გრძელი ხალათი და განიერი ლაბადა ეცვა, თავზე არახჩინი დაეკოსებინა... მეოთხე - ისეთივე ზომისა და მოცულობის - სლავი იყო; ტანთ რუსული ეროვნული ტანსაცმელი ემოსა – თეთრი, გრძელი, კალთამოქარგული ხალათი,.. ყავისფერი მაღალყელიანი ჩექმები, რომელშიც შარვლის ტოტები ჩაეტანებინა.

... მგლოვიარე ოჯახი მოდისო, დაიძახეს. ამირმა ხუთი-ექვსი კაცი დაინახა: ქალი, მამაკაცი, ახალგაზრდები – გოგონა და ვაჟი და ერთი კობტად ჩაცმული მოწიფული ყმაწვილი, რომელსაც, ჩანს, მამაზე გლოვის ნიშნად თმაზე ზეთი ეცხო.

მუქ ყავისფერ პოლონურ სკამებზე შვიდი-რვა შუახნის მამაკაცი იჯდა – უმეტესობა ტანმორჩილი და ყველა კობტად ჩაცმული.

ამირს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კაცები სრული მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი უშიშროების თანამშრომლები იყვნენ“ (დოულათაბადი, 2016: 93-94).

სიმბოლოებით მეტყველება სპარსული მწერლობისთვის უცხო არასდროს ყოფილა. თანამედროვე ლიტერატურულმა მიმდინარეობებმა, სიუჟეტის მითოლოგიზაციისკენ სწრაფვამ - ახლებურმა წერის მანერამ, ბოლოს კი - ისლამური რევოლუციის მკაცრმა ცენზურამ ირანელი ავტორების ნებაყოფლობითი თუ უნებური ლტოლვა მეტაფორულობისკენ კიდევ უფრო გაამძაფრა. ასეა ამ რომანის შემთხვევაშიც. აქ, პრაქტიკულად, ყველა პერსონაჟი, ყველა ეპიზოდი თუ ყველა სურათი სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. იქნებ ეს, უბრალოდ, დოულათაბადის მიზანმიმართული ჩანაფიქრია, რათა გვერდი აუაროს ცენზურას და ოფიციალისთვის მიუღებელი აზრი „გააპაროს“? ნაწილობრივ, ალბათ, ასეც არის, თუმცა მეტაფორული მეტყველება, საზოგადოდ, მწერლის საზოგადო მოდელია, რომელსაც სხვა ნაწარმოებებშიც ხშირად მიმართავს.

წიგნში კიდევ არის რამდენიმე სიმბოლური სახე, რომელიც ავტორის იდეურ ჩანაფიქრს უსვამს ხაზს და, ამდენად, ჩვენს ყურადღებას იმსახურებს.

ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია ანტონ ჩეხოვის გამონათქვამი, რომ, თუ პიესაში (ან მოთხრობაში) კედელზე თოფი კიდია, ბოლოს ამ თოფმა უნდა გაისროლოს. ეს გამონათქვამი თითქოს მცირე მოცულობის ჟანრებს უხდება და არა რომანს, რომელიც არც დროითაა შეზღუდული და არც სივრცით. თუმცა თანამედროვე წერის სტილმა იმდენად გადახლართა ერთმანეთში ლიტერატურული მიმდინარეობები და მოშალა ჟანრთა შორის არსებული მიჯნა, რომ დღეს უკვე ძნელია თქმა, რომელ ჟანრს რა მეთოდი თუ თავისებურება შეესაბამება.

„პოლკოვნიკის მიმწუხრში“ ყველა დეტალი, მოვლენა და ეპიზოდი მკაცრადაა გათვლილი. მასში ვერ შეხვდებით კედელზე უქმად დაკიდებულ თოფებს და ქუჩაში უფუნქციოდ მავალ პერსონაჟებს. როდესაც პოლკოვნიკის ოთახის კედელზე სამშვენისად მიმაგრებულ ხმალს - გარდასული პატრიოტული სულისკვეთების დასტურს - და სეთარს ვხედავთ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამ „კედლის მოსართავს“ მკითხველთან მნიშვნელოვანი სათქმელი მოაქვს. ადრე, სხვა ცხოვრებაში, როცა პოლკოვნიკი „პოლკოვნიკობდა“, ავტორიტეტიც ჰქონდა და საქვეყნო საქმეებისთვისაც სცემდნენ პატივს, ხმალს ბრძოლაში ხარჯავდა და მოცალეობის ჟამს სეთარს აჟღერებდა. ახლა კი, როცა სამშობლო ცარიელ სიტყვადღა იქცა, მისთვის დახარჯულ მახვილს მტვერი დაედო.

„კედლისკენ მიტრიალდა - ხმალი და სეთარი ჩვეულ ადგილას ეკიდა. თითოეულს ერთი თითის დადება მტვერი ფარავდა“ (დოულათაბადი, 2016: 223).

საინტერესოა, რომ მწერალი უფრო ღრმად მისდევს ამ სიმბოლოს და შემზარავ ეპიზოდს, როდესაც პოლკოვნიკი, ცოლის მოკვლის შემდეგ, ოთახში ბრუნდება, ასე აღგვიწერს:

„ხმაღმა, რომელიც აღლუმებსა და შეიარაღებული ძალების დათვალიერებებზე უაზრო და უსარგებლო ისტორიულ აქსესუარად ქცეულიყო, „ცოლის გულში ძგერებით“ რეალური ფუნქცია შეიძინა. გამარჯვებული, მამაცი, წელგამართული და ბეჭებგამლილი აუყვა კიბეს“ (დოულათაბადი, 2016: 124).

ამ რამდენიმე ფრაზით ბევრი რამაა თქმული და, რაც მთავარია, ნაჩვენებია თავად ავტორის ირონიული დამოკიდებულება ამგვარი რეალობის მიმართ: ოდესღაც მრისხანე მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ხმალი ცოლის გულში ძგერებით „იბრუნებს“ ჩავლილ დიდებას, პოლკოვნიკი კი, ამ „სახელოვან ბრძოლაში“ „გამარჯვებული, წელგამართული და ბეჭებგამლილი აუყვა კიბეს“.

მწარე სარკაზმი დევს ამ სიტყვებში. აქვე ვიტყვი, რომ მწვავე ირონია თუ შავი იუმორი საერთოდ დამახასიათებელია დოულათაბადისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხერხი მისი სტილის ერთი მახასიათებელიც გახლავთ. მწერლის ირონიული ფრაზები მუდამ ორაზროვანია და ხშირად არცთუ ადვილია მათში შეპარებული სარკაზმის დანახვა.

ფიზიკურად გადაქანცული და სულიერად გამოფიტული პოლკოვნიკი, რომელსაც თავისი გოგონასთვის საფლავის გათხრა უწევს, უცბად ამოიძახებს:

„ასეთი საფლავები წინასწარ რომ გათხრილიყო, საქმეს წინ წავიგდებდით, არა, ბატონებო?“ (დოულათაბადი, 2016: 113).

ღიახ, გათხრილი საფლავები უპატრონოდ არ დარჩებოდა, რევოლუცია უცბად მოუძებნიდა პატრონებს!

მაჰმუდ დოულათაბადის სამწერლო ოსტატობაზე საუბარი შორს წავიყვანდა, ამიტომ ორიოდე საკითხზე შევჩერდები.

ეს გახლავთ ნაწარმოებში ატმოსფეროს შექმნისა და პერსონაჟთა სულიერ სამყაროში ღრმად წვდომის უნარი. ეს ორი კომპონენტი ისე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რომ ძნელია მათი გამოჯვანა. მხატვრულ ნაწარმოებში ატმოსფერო მნიშვნელოვანი კომპოზიციური ელემენტია, რომელიც ქმნის განწყობას, სიტუაციას და ხშირად მკითხველს მოვლენისა და პერსონაჟის შინაგანი სამყაროს უკეთ შეცნობასაც უადვილებს.

„პოლკოვნიკის მიმწუხრი“ რევოლუციური რომანია. რევოლუციური ატმოსფერო კი პირქუშია და ბნელი. უმზეოა და ავდრიანი. წვიმიან ღამეს, სიბნელესა და სიცივეში, ომიან რეალობაში, მხოლოდ ცუდის მოლოდინი აქვთ და ეს მოლოდინი მუდამ მართლდება. როდესაც შუალამისას ჭიშკარზე კაკუნის ატყდება, პოლკოვნიკს მძიმე ფიქრები უტრიალებს თავში:

„აკაკუნეთ, აკაკუნეთ. ვინც არ უნდა იყოს! წლებია, კარგი ამბავი არ მსმენია და ახლაც, ამ ღამით, უდროოდ დროს, კარგს არაფერს ველი... თუკი, განგების ძალით, რომელიმე სახლის კარი ღამით დაკეტილი უნდა იყოს, არავინ მას ასეთ ბრავაბრუებს არ აუტებს“ (დოულათაბადი, 2016: 11-12).

„გრძნობდა, რომ დარტყმას უნდა დალოდებოდა და დაელოდა კიდევ. ერთი რამ დანამდვილებით იცოდა: ამ ყმაწვილებს მის კარზე ჭრილობაზე მალამოს წასაცხებად არ დაუკაკუნებიათ. მამასადამე, უნდა დალოდებოდა და დაელოდა კიდევ“ (დოულათაბადი, 2016: 19).

ღიახ, ყმაწვილებს მალამოს წასაცხებად არ დაუკაკუნებიათ. მამას რევოლუციის სახელით თოთხმეტი წლის „დამნაშავე“ ქალიშვილის ჩამოხრჩობის ამბავი აუწყეს. და ამ მძიმე, შიშნარევი მოლოდინის ატმოსფერო კარგ ამბებს გადაჩვეული კაცის შინაგან ფორიაქსა და უდრტვინველ მორჩილებაზეც მიგვანიშნებს ერთდროულად.

როდესაც ცოცხლად დამიწებული პოლკოვნიკი საკუთარი ხელით მიასვენებს თავისი პატარა გოგონას კუბოს, მამის მოტეხილი სხეულისა და დაცარიელებული სულის ტრაგიზმს საცხედრის ჟრჟოლისმომგვრელი, დამთრგუნველი ატმოსფერო ამკვეთრებს:

„ცივი, მდუმარე სივრცე და წვიმის წვეთების ძრწოლისმომგვრელი რაკარუკი თუნუქის ჟანგმოკიდებულ სახურავზე კაცს ძარღვებში სისხლს უყინავდა; კედლები თითქოს სველი და წებოვანი იყო; დაჟივებული კედლებიდან ობის, ნესტის, კედლისა და ქაფურის სუნი ჟონავდა; თითქოს კედლებს ფაშვი უსასრულო და უსახური სიკვდილების ხსოვნით ამოვსებოდათ; იატაკის ნესტი უცნაური იდუმალებით აღწევდა ჯერ ფეხსაცმლის ლანჩაში, მერე კი ფეხისგულეებში – ეს არ ჰგავდა ჭყაპისა და ტალახისგან გამოწვეულ სინოტივებს – თითქოს ხორცსა და მყესებში მილოდავდა, ჟრჟოლისმაგვარი შეგრძნება ძვალსა და რბილს ედებოდა...“ (დოულათაბადი, 2016: 43).

დოულათაბადის განსაკუთრებით ეხერხება ფსიქოლოგიური პასაჟების მერწყვა. ის არასდროს სჯერდება ზედაპირულსა და ადვილად დასანახს. მუდამ სულის ყველაზე ღრმა და მიუვალ კუნჭულებში მიჰყვება პერსონაჟს და მისი არაცნობიერის სიღრმეებში ჩაბუდებული ტკივილისა და განცდების ფესვებს დაემებს.

პოლკოვნიკსა და მის უფროს ვაჟს, ამირს, ბევრი აქვთ საერთო. თაობათა შორის სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთის მსგავსი ბედი თუ უბედობა ერგოთ წილად. რევოლუციურმა რეალობამ ორივეს დიდი ტკივილი მოუტანა. ერთმანეთისთვის ბევრი აქვთ სათქმელი, მაგრამ მდუმარედ სწერენ ერთმანეთს წერილს. თითქოს დამუნჯდნენ და ერთმანეთისაგან არაფერი ესმით. ცხადია, არც ეს ეპიზოდია შემთხვევითი და მასშიც მწერლის კონკრეტული სათქმელი დევს.

დუმილსაც თავისი გრადაციები აქვს. ერთია სიმუნჯე, როცა სათქმელი არის, მაგრამ შიში ადუმებს ადამიანს. ან დუმს, თუკი იცის, ფუჭი აღმოჩნდება მისი ნათქვამი. პოლკოვნიკი და ამირი ამ ეტაპებს გასცდენიან და სიმუნჯის იმ ზღვრამდე მისულან, როცა ლაპარაკის სურვილიც აღარ აქვთ. ყველა ინტერესი დაუკარგავთ და ამქვეყნიური განცდები მათი სულის სიმებს აღარ ეხება. რევოლუციამ გამოაცალა ყველა საყრდენი და ღირებულება, გაანადგურა ფიზიკურად და მორალურად. დარჩათ ერთადერთი საფიქრალი - რომელი გზა ამოირჩიონ სულთა საუფლოში გასამგზავრებლად.

თითქოს სრულიად საკმარისი და დამაჯერებელი საფუძველია თვითმკვლევლობისთვის, თუკი კაცი ამას გადაწყვეტს. მაგრამ დოულათაბადისთვის ასე არ არის. ის თავისი პერსონაჟების თვითგვემასა და სიკვდილისკენ გაცნობიერებულ სვლას მხოლოდ იმ ფიზიკური თუ მორალური წნეხით არ ხსნის, რომელიც რევოლუციამ დაატეხა თავს. სულში ჩათესლილი საკუთარი ცოდვების უმძიმესი შეგრძნება გაუსაძლის ზნეობრივ ტვირთად აწევს ორივეს. დუმან, მაგრამ ცოდვას ღრმად გაუდგამს ფესვი და პიროვნული ეჭვებისა და შინაგანი კომპლექსების ბუდედ ქცეულა. ცოლის მოკვლის ცოდვას, რომელიც პოლკოვნიკის სულსა და გონებაში გაცნობიერებულ დანაშაულად ყალიბდება, კიდევ უფრო დიდი განცდა ამძიმებს: დანაშაულის მოწმედ შვილის დასწრება. თავის მხრივ, შვილი, რომელმაც მდუმარედ იკისრა დედის მოკვდინების მოწმის უმძიმესი დანაშაული, უხმოდ იტანს ყველა განსაცდელს.

ამირისა და პოლკოვნიკის მდუმარე განცდები, შინაგანი წინააღმდეგობები და ყოველგვარი სასჯელის უდრტვინველი მიღება ამ მძიმე ცოდვის გაცნობიერებას ემყარება, საიდანაც არ არსებობს გამოსავალი და რომელსაც არც ახსნა აქვს და არც გამართლება.

რომანის სიუჟეტურ ხაზში პოლკოვნიკის ოჯახის ტრაგედიას, საყოველთაო უბედურების ფონზე, თითქოს ეპიზოდური ხასიათი ენიჭება, მაგრამ მამა-შვილის პიროვნული ნგრევის პროცესში წამყვანი როლი აკისრია. პოლკოვნიკსაც და ამირსაც იმდენად ხშირად ახსენდებათ ეს ამბავი, ერთს - მიზანმიმართული გადაწყვეტილება და მეორეს - საკუთარი უნებური თანხმობა, რომ ცხადი ხდება, ამ მოვლენამ გარდამტეხი

დარტყმა მიაყენა მათ სულს. რევოლუციურმა მოვლენებმა კი უფრო დაამძიმა და საბოლოოდ გახლიჩა ორივეს ფსიქიკა.

დოულათაბადი მხოლოდ პოლიტიკური მოვლენებით არ ზომავს პერსონაჟთა განცდის სიღრმეს და მათზე მოვლენილი უდიდესი განსაცდელის საფუძველს პიროვნულ ცოდვებშიც ეძიებს.

გარეგნულად ისე ჩანს, რომ პატრიარქალურ სინამდვილეში აღზრდილი პოლკოვნიკი მოღალატე ცოლის მკვლელობაში თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. თითქოს ეს ფაქტი ოჯახის ღირსებისა და სახელის ხსნის გზადაც მიაჩნია, მაგრამ სულის სიღრმეში ჩათესლილი ცოდვის განცდა თავს არ ანებებს:

„პოლკოვნიკის გონება გაუცნობიერებლად ცდილობდა, თავისი დანაშაულისთვის მიეკვლია და მეტწილად იმ დასკვნამდე მიდიოდა, ცოლი რომ არ მომეკლა, ვინ იცის, ახლა ჩემი ქალიშვილი ამ კუბოში არ წოლილიყო“ (დოულათაბადი, 2016: 36).

ამირს ხმლით არავინ გაუგმირავს, მაგრამ ყველას უღალატა: დედას, რომლის მოკვლას უხმოდ შეეგუა; ცოლს, რომლის ჯალათს სახლში უმასპინძლა; და-მმას, რომელთა დასჯას წინ არ აღუდგა... მაგრამ მისი საქციელი განსჯის საგნად ვერ იქცევა: დიდი ზნეობრივი კომპრომისის ცოდვით დამძიმებული, შინაგანად იჭამს თავს და ცოცხლად ისამარებს:

„მე არავისი ძმა არ ვარ, არავისი შვილი არ ვარ, მე არავინ ვარ. საერთოდაც, არავის ვიცნობ, არავის!..... მე ჩემს წარსულს ვერ ვიხსენებ და არც მინდა, გავიხსენო. მეშინია, მხოლოდ მეშინია და მძულს...“ (დოულათაბადი, 2016: 135).

„დავივიწყე ყველა ღირებულება და ყველაფერი, რისიც მჯეროდა. ერთი სიტყვით გეტყვი: საკუთარ წარსულს ვედარ ვიტან. საკუთარი თავის სიძულვილით ვერ ვიცხოვრებ (დოულათაბადი, 2016: 206).

ფიქრი, რომ ამირის გონების არევისა და სულიერი შფოთვის საფუძველი დედის სიკვდილში უნებური თანამონაწილეობაა, პოლკოვნიკსაც უჩნდება:

„არ ვიცი. იქნებ, იქნებ სწორედ იმ ღამეს გადაუბრუნდა ტვინი ამირს? იქნებ სწორედ იმ ღამეს დაიჭრა ისე, რომ ჭრილობა აღარ შეუხორცდა?“ (დოულათაბადი, 2016: 76).

.....

ერთ სამეცნიერო სტატიაში შეუძლებელია ისეთ მრავლისმომცველ რომანზე ამომწურავი საუბარი, როგორც მაჰმუდ დოულათაბადის „პოლკოვნიკის მიმწუხრია“. თუმცა გამოკვლევის დასასრულს მინდა, რამდენიმე სიტყვით შევეხო რომანის ქართულ თარგმანსაც. ამ თარგმანის სახით ქართველმა მკითხველმა უდავოდ დიდი საჩუქარი მიიღო. მას შეუძლია, მშობლიურ ენაზე წაიკითხოს წიგნი, რომლის ორიგინალი ოფიციალურად არ არსებობს, მაგრამ რომელიც თარგმანების მეოხებით ცნობილი გახდა დასავლურ სამყაროში.

ვისაც „პოლკოვნიკის მიმწუხრის“ ქართული თარგმანი წაუკითხავს და ვინც იცნობეს თეა შურდაიას სხვა თარგმანებს, დამეთანხმება, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მთარგმნელია.

პირველი, რისი აღნიშვნაც აუცილებლად მიმაჩნია, გახლავთ მთარგმნელის ლიტერატურული გემოვნება და ალღო, რომელთა წყალობით თარგმნის მხოლოდ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ქართველი მკითხველისთვის აქტუალურიც იქნება და მის ესთეტიკურ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს.

თ. შურდაიასთვის ორგანულია ავტორისა და სათარგმნი მასალისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობა. მისთვის არ არსებობს უმნიშვნელო და მცირე ეპიზოდი ან ცალკეული სიტყვა. რაც მთავარია, არასდროს უსწრებს წინ ავტორს, რათა მასზე „უკეთ“ გამოხატოს სათქმელი. ცდილობს, თარგმანში არ დაირღვეს ავტორის სტილი თუ ჩანაფიქრი.

ზემოთ, როდესაც ტექსტის ფინალური ლექსის სიმბოლურ დანიშნულებაზე ვილაპარაკე, აღვნიშნე, კარგ მწერალთან ნაწარმოების დასაწყისი და დასასრული არასდროს შემთხვევითი არ არის-მეთქი. ეს მით უფრო სიმბოლური დატვირთვის მქონე ნაწარმოებებს ეხება.

პირველი სირთულე, რომელიც დოულათაბადის რომანის მთარგმნელს წინ დახვდებოდა, სწორედ დასაწყისი, კერძოდ, თავად სათაური იქნებოდა. სათაურის თარგმნა ბევრად უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ბევრს შეიძლება ეგონოს. ხშირად სწორედ სათაურშია კოდირებული მწერლის მთავარი სათქმელი. „პოლკოვნიკის მიმწუხრიც“ ამ ტიპის სათაური გახლავთ.

დოულათაბადის რომანს სპარსულად სწორედ ასე ჰქვია: „პოლკოვნიკის მიმწუხრიც“ და არა, უბრალოდ, „პოლკოვნიკი“, როგორც მას ევროპულ თარგმანებში უწოდეს. მთარგმნელებმა დაუნანებლად „გამოტოვეს“ მთავარი სიტყვა. მწერალს უკვე სათაურში სურდა იმის თქმა, რომ პოლკოვნიკის მზე ჩაესვენა. პოლკოვნიკი სიმბოლური სახეა მწერლისთვის და მისი მზის ჩასვენება მთელი ეპოქის, ეროვნული სულისა და პატრიოტული სიმამაცის დასასრულის გამომხატველია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთი, მაგრამ ძირეული, სიტყვის იგნორირებით მთარგმნელებმა მწერლის იდეური ჩანაფიქრი გააუფერულეს და მკითხველს რომანის სიმბოლური სახეების გაგება გაურთულეს. ქართული თარგმანი, მთარგმნელის პროფესიონალიზმის მეოხებით, ასცდა ამ ხარვეზს. მისმა სწორმა ინტერპრეტაციამ ქართველი მკითხველი რომანის რთულ სიუჟეტურ ჩანაფიქრთან და სიმბოლურ სახეებთან შესახვედრად წინასწარ შეამზადა.

რაც შეეხება თავად ტექსტის კომპოზიციურ თავისებურებებს, მის აზრობრივსა თუ ენობრივ სირთულეს, ამ სპეციფიკას ერთხმად აღნიშნავს რიგითი მკითხველიც და პროფესიონალი კრიტიკოსიც. ამდენად, ბუნებრივია, რომანის თარგმნა უამრავი „წყაღვეშა რიფის“ გადალახვასთან იქნებოდა დაკავშირებული. 2021 წლის 29 სექტემბერს გამომცემლობა „დიოგენე“ თავის ფბ გვერდზე გამოაქვეყნა თეა შურღაიას ინტერვიუ, რომელშიც მთარგმნელი ამ საკითხზეც საუბრობს:

„მათ შორის, რაც ოდესმე მითარგმნია, მაჰმუდ დოულათაბადის „პოლკოვნიკის მიმწუხრიც“ ყველაზე რთული ტექსტია. მართალია, მთარგმნელს მეტი ცოდნა მოეთხოვება, ვიდრე მწერალს, მაგრამ დოულათაბადის ამ აკრძალულმა ტექსტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს ირანელი მწერალი ცნობილია თავისი გამორჩეული ენითა და რთული სინტაქსით. ამას ემატება „ცნობიერების ნაკადით“ მოწოდებული თხრობა, ალუზიები, ნაცნობი და უცნობი ისტორიული ფაქტების ცოდნის აუცილებლობა, ძიება, ქექვა ყველაზე მოულოდნელ წყაროებში, ისეთი რამის მიგნება, რაც ყველა ირანელმაც კი არ იცის. მერე ფიქრი იმაზე, როგორ მიხვდება ამ ყველაფრის არმცოდნე ქართველი მკითხველი სათქმელს, როგორ ასცდე უთვალავ შენიშვნასა და განმარტებას, რომ არ დაგიმძიმდეს ისედაც მძიმე ტექსტი. ეს რომანი მთარგმნელისგან რკინისებურ გამძლეობას მოითხოვს, არა მხოლოდ ენობრივი და ტექნიკური სირთულეების დასაძლევად, არამედ ემოციურადაც. ძნელია, ცივი გონებით მისდო მთავარი გმირის თავს დატეხილ, ენით აუწერელ უბედურებებს, მოძებნო სათანადოდ დამუხტული სიტყვები უსაზღვრო ტრაგედიის გადმოსატანად, ზოგან მოთოკილი და ზოგან ამოხეთქილი გრძნობების ადეკვატური ფრაზებით გადმოსაცემად, არც გადაამლაშო, არც არაფერი დააკლო“.

წიგნის თარგმნის სირთულეზე საუბრობს, ასევე, მისი გერმანულად მთარგმნელი ბაჰმან ნირუმანდი:

„პოლკოვნიკის“ თარგმნა გერმანულად ძალიან რთული და მძიმე საქმე იყო, ეს დანამდვილებით შემძლია ვთქვა.

„პოლკოვნიკი“ მცირეფორმატიანი და ჩახლართული რომანია, რომლის საფუძვლიანად გასაგებად და მისი მინიშნებების ამოსაცნობად ერთი-ორი წაკითხვა არ

კმარა. გარდა ამისა, მასში არის მინიშნებები ჩვენი ისტორიისთვის ცნობილ მოვლენებსა და პიროვნებებზე, რომლებსაც გერმანელები არ იცნობენ. ამ შემთხვევაში მთარგმნელს ორი გამოსავალი რჩება: 1. ან ტექსტშივე შეიტანოს განმარტება, რაც საკმაოდ ძნელია, თუმცა მკითხველისთვის - მეტად მისაღები, ან 2. ტექსტის ბოლოს დაურთოს კომენტარი. მე, როგორც ხედავთ, ორივე საშუალება გამოვიყენე“ (The Novel..., 2012).

მინდა, მკითხველის ყურადღება გავამახვილო ბატონი ნირუმანდის პირველ შენიშვნაზე. მთარგმნელი ამბობს, რომ ზოგ ადგილას რომანის ტექსტშივე გაუკეთებია კომენტარი. ნაწარმოების ამ სახით ინტერპრეტირება, როდესაც მთარგმნელი უშუალოდ ერევა ავტორისეულ ტექსტში, დღესდღეობით მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებულია. თუმცა პირადად მე კომენტარების ეს გზა მიუღებლად მიმაჩნია და ვთვლი, რომ ქართველი მთარგმნელის მიერ არჩეული მეთოდი ბევრად უფრო კორექტულია.

მოკლე განმარტებები თ. შურდაიას სქოლიოებში აქვს მითითებული, ხოლო ვრცელი კომენტარები, რომლებიც, ძირითადად, რომანის ისტორიულ-სიმბოლოურ სახეებს შეეხება, წიგნს ბოლოს ერთვის. ვფიქრობ, ტექსტის კომენტარების ეს გზა, რომელიც არ არღვევს ტექსტის ერთიანობას და ინარჩუნებს ავტორისეულ სტილს, მისაღები უნდა იყოს ნებისმიერი ინტერესიანი და კარგი მკითხველისთვის.

**დასკვნა.** კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ მაჰმუდ დოულათაბადის რომანი „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ირანის თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში. წიგნში ზედმიწევნით არის ასახული ისლამური რევოლუციის ტრაგიკული მოვლენები და გამოკვეთილია მათი უნივერსალური ხასიათი. ავტორისეული ნარატივი გაჯერებულია პერსონაჟთა ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის უმძიმესი სურათებით, რომელთა აღწერისას სრულად ვლინდება დოულათაბადის სამწერლო ოსტატობა.

წიგნის მიუღებლობა ისლამური რესპუბლიკის სამთავრობო ცენზურის მიერ განპირობებულია მწერლის ჰუმანისტური პოზიციით, ანუ მისი „კონტრრევოლუციური“ განწყობით;

ოგივე პოზიცია განაპირობებს „პოლკოვნიკის მომწუხრის“ აღიარებას დასავლური სამყაროს მიერ. ის ფაქტი კი, რომ რომანი, ამ აღიარების მიუხედავად, წიგნის ბაზარზე ბესტსელერად ვერ იქცა, ავტორის სამწერლო სტილის სირთულით აიხსნება.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დოულათაბადი, მ. (2016). *პოლკოვნიკის მიმწუხრი*. სპარსულიდან თარგმნა თეა შურდაიამ. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.

زوال آقای کلنل دولت آبادی ( 2014 ). مشرق.

(15.12.1392) <https://www.mashreghnews.ir/news/293072>

رمان-زوال-کلنل-دولت-آبادی-دوباره-در-گیر-قیچی-سانسور (2012). دویچه وله فارسی.

(11.01.1390) <https://www.dw.com/fa-ir/>

خلجی ، م. چرا ادبیات معاصر ایران در رقابت های جهانی ناکام است؟ (2012). مردمک.

[https://mardomak.online/story/iranian\\_literature\\_unsuccessful\\_in\\_the\\_world/](https://mardomak.online/story/iranian_literature_unsuccessful_in_the_world/)

### REFERENCES AND SOURCES

doulatabadi, m. (2016). *p'olk'ovnik'is mimts'ukhri [The Colonel]*. Translated from Persian by Tea Shurghaia. Tbilisi: Publishing House „Diogene“.



- Khaleji, M. (2012). Chera adabiat-e moaser-e iran dar reqabat-ha-ie jahan-i nakam ast [Why is Persian Literature Unsuccessful in International Competition]? Mardomak.  
[https://mardomak.online/story/iranian\\_literature\\_unsuccessful\\_in\\_the\\_world/](https://mardomak.online/story/iranian_literature_unsuccessful_in_the_world/)  
(1390, January 22).
- Roman-e zaval-e Colonel-e Dowlatabadi do bare dar gir-e qeichi-e sansur (2012). [The Novel of Dowlatabadi „The Colonel“ is still under Threat of Censorship]. Deutsche Welle.  
<https://www.dw.com/fa-ir/> (January 22, 2012).
- Zaval-e aqa-ie Colonel-e Dowlatabadi (2014). [„The Colonel“ by Dowlatabadi]. Mashreq.  
<https://www.mashreqnews.ir/news/293072> (15.12.1392)